საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია

2025

თბილისი

მოტო ჯიმხანა

“ წყვილთა რბოლა ”

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

მოტო ჯიმხხანა

მოტო ჯიმხანა " წყვილთა რბოლა " არის ღონისძიება, რომელიც ტარდება საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ეგიდით და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, , მოტო სკოლა „პიტსტოპ აკადემიის" ორგანიზებით

მოტო ჯიმხანა "წყვილთა რბოლა" არის შეჯიბრის სახეობა, სადაც მონაწილეობენ პროფესიონალი და მოყვარული მოტო მრბოლელები საკუთარი, ან სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის გამოყოფილი იდენტური მოტოციკლებით. მრბოლელები იღებენ მონაწილეობას ჯიმხანის კლასის სარბოლო ტრასაზე, რომელიც შედგება წინასწარ სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის გამზადებული სხვადასხვა დაბრკოლებებით და უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებული ორი იდენტური გასავლელი სარბოლო ბილიკისგან. ორი საკვალიფიკაციო გარბენის შემდეგ, მოხდება მრბოლელების დაწყვილება:

მრბოლელების დაწყვილდების წესი:

- საუკეთესო დროის მფლობელი-უარესი დროის მფლობელთან პრინციპით გაუწევენ ერთმანეთს კონკურენციას, ერთდროულად აღებული სტარტის შემდეგ, გამარჯვებული გამოვლინდება ფინიშის ხაზის პირველი გადაკვეთით და გადავა მომდევნო ეტაპზე.

აღნიშნული ღონისძიების ჩატარების მიზანს წარმოადგენს:

- მოტომოყვარულთა მართვის დონის ამაღლება
- სწორი მიმართლებით განვითარების საშუალება
- საზოგადოებაში ინტერესის გაჩენა და მეტი ჩართულობა
- მოტოსამყაროს პოპულარიზაციის ხელშეწყობა და სფეროს მეტად გააქტიურება
- ქუჩის არალეგალური რბოლებიდან გადმონაცვლება და ადრენალინის სწორი,კანონზომიერი დახარჯვის საშუალება
- მონაწილეთა შორის უძლიერესი მოტომოყვარულის გამოვლენა

ღონისძება ტარდება ფედერაციის მიერ წარმოდგენილი რეგლამენტის მკაცრი დაცვით.

ორგანიზატორი:

ა.(ა).ი.პ პიტსტოპ აკადემია ქ.თბილისი დოლიძის 22
ტელ: +995 555000011
ელ-ფოსტა: Lgudadze11@gmail.com
პრეზიდენტი: ვლადიმერ გუდაძე

<u>შეჯიბრის ჩატარების ადგილი და დრო:</u>

შეჯიბრის პირველი ეტაპი ჩატარდება: ჰასკი მოტო პარკის ტერიტორიაზე მის: კოჯორის ქ.#22. ა/წ 27 აპრილს 12:00-ზე დასრულდება რეგისტრაცია და აიღებს სტარტს შეჯიბრი, რომელიც გაგრძელდება 17:00-მდე.

ღონისძიებაში არსებული კატეგორიები:

ჩემპიონატი მოიცავს სამ კატეგორიას:

კატეგორია - სკუტერები :

- ნებისმიერი კუბატურის მქონე, ვარიატორული გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი, შიდა წვის ძრავიანი, 2 ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალება.

კატეგორია - მოყვარულები :

- ნებისმიერი კუბატურის მქონე, მექანიკური გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი, შიდა წვის ძრავიანი, მოტოციკლი.

შენიშვნა :

- თუ მრბოლელს დისციპლინა: წრიული რბოლა კატეგორია სუპერსტოკ 1000 და სუპერსტოკ 600, ენდურო კატეგორია ექსპერტი აქვს აღებული ფედერაციის ლიცენზია (ნებისმიერ საშეჯიბრო სეზონზე)-არ დაიშვება მოტო ჯიმხანა კატეგორია „მოყვარულები“- ში, ასევე იგივე კატეგორიაში: არ დაიშვებიან მოტოსკოლების წარმომადგენლები (ინსტრუქტორი, დირექტორი და ა.შ.)

კატეგორია - აბსოლუტი :

- ნებისმიერი კუბატურის მქონე, მექანიკური გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი, შიდა წვის ძრავიანი, მოტოციკლი.

სამივე კატეგორიაში დაშვებულია ნებისმიერი მონაწილე, რომელსაც გააჩნია მართვის მოწმობა ან ა.(ა)ი.პ პიტსტოპ აკადემია-ს მიერ გაცემული ერთჯერადი სერთიფიკატი და მისი სატრანსპორტო საშუალება ისევე როგორც თავად მრბოლელი აკმაყოფილებენ წინასწარ წარდგენილი რეგლამენტის წესებს.

მოთხოვნები:

მონაწილეთა აუცილებელი ეკიპირება:

- ჩაფხუტი
- ქურთუკი ან საიდაყვე დამცავები

მრბოლელთა რაოდენობა თითოეულ კატეგორიაში

- თითოეულ კატეგორიაში მაქსიმალური მონაწილეთა რაოდენობა 16 მრბოლელი**,** თუ თითოეულ კატეგორიაში **4** მონაწილეზე ნაკლები დარეგისტრირდება მაშინ არსებული კატეგორია ჩაითვლება გაუქმებულად **(**გაუქმებულ კატეგორიაში დარეგისტრირებულ მონაწილეს, ლიცენზიის ასაღებად გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდება**)**

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

შეჯიბრის წესები:

1. სტარტი: მსაჯის ან პრომო გოგონას მითითებით, ან სპეციალურად დამონტაჟებული შუქნიშნით
2. ფინიში: სპეციალურად, წინასწარ ყველასთვის ცნობილი საფინიშე ზოლის გადაკვეთით
3. გამყოფი ზოლის გადაკვეთა, სარბოლო მონაკვეთზე მოტრიალება ან დადგენილი ტრაექტორიისგან ნებისმიერი გადახვევა ისჯება დისკვალიფიკაციით ან დროის გაუქმებით
4. ნებისმიერი არასპორტული საქციელი ან მსაჯისადმი დაუმორჩილებლობა ისჯება დისკვალიფიკაციით.
5. კონკრეტულ წყვილში ნაადრევი სტარტის (ფალშ სტარტი) ორჯერ განმეორების შემთხვევაში მონაწილეს ეთვლება წაგება.
6. მანიშნებელი კონუსის ან ხელოვნური დაბრკოლების გადაადგილების ან გადაყირავების შემთხვევაში მრბოლელს ემატება იმ გარბენის დაფიქსირებულ დროზე, 1 საჯარიმო წამი.
7. სტარტის აღებიდან ფინიშის ზოლის გადაკვეთამდე სარბოლო მონაკვეთის ნებისმიერ ადგილას ფეხის თითოეულ ასფალტზე შეხების შემთხვევაში მრბოლელს ემატება იმ გარბენის დაფიქსირებულ დროზე, 1 საჯარიმო წამი.
8. სტარტზე მოტოციკლის გაუმართაობისას მწყობრში მოსაყვანი დრო არის 15 წუთი, ან/და მსაჯის გადაწყვეტილების მიხედვით. შესაძლებელია ჩაითვლოს გასვლის წაგებად.
9. ჯიმხანას დისციპლინის შეჯიბრები 2025 წელს შედგება სამი ეტაპისაგან. მონაწილეობის მსურველს შეუძლია ჩემპიონატში ჩაერთოს ნებისმიერი ეტაპიდან. ყოველ ეტაპზე მონაწილე აგროვებს დაკავებული პოზიციის მიხედვით ქულებს. ჩემპიონი კი გამოვლინდება მეოთხე ეტაპის ბოლოს ქულათა დაჯამებით.

ქულათა სისტემა :

პოზიცია	ქულა	პოზიცია	ქულა	პოზიცია	ქულა
1	20	6	10	11	5
2	17	7	9	12	4
3	15	8	8	13	3
4	13	9	7	14	2
5	11	10	6	15	1

- მრბოლელი ასავე მიიღებს ყოველ მოგებულ გარბენში, დამატებით 1 ქულას
- საბოლოო წლიური შედეგების დათვლისას, თუ ორ ან მეტ მონაწილეს ერთნაირი ქულები დაუგროვდებათ პოზიციები გადანაწილდება შემდეგ ნაირად: პირველ პოზიციას დაიკავებს მონაწილე რომელსაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს დაკავებული რბოლაზე, შემდეგი თანაფარდობის შემთხვევაში, პირველ პოზიციას დაიკავებს მონაწილე, რომელსაც უფრო მეტი მეორე ადგილი აქვს და ა.შ. თუ რბოლაზე დაკავებული პოზიციების მიხედვით ვერ გამოვლინდა საუკეთესო, მაშინ პირველ პოზიციას დაიკავებს მონაწილე რომელსაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს დაკავებული საკვალიფიკაციო გარბენებზე
- სამივე კლასში დაშვებულია სკუტერები და მოტოციკლები, რომლებსაც გააჩნიათ ქარხანა-დამამზადებლის მიერ კონკრეტული მოდელის შესაბამისი წარმოდგენილი ვიზუალური მხარე და არ აქვს სპეციალურად მოხსნილი არცერთი ვიზუალური დეტალი.

10. მონაწილეს უფლება აქვს გამოთქვას პროტესტი მხოლოდ წერილობითი სახით მთავარი მსაჯის სახელზე შეჯიბრის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

რეგისტრაცია და საფასური:

- ღონისძიებაზე რეგისტრაციისთვის, მრბოლელი ვალდებულია გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე **MOTOFEDERATION.GE**

- რეგისტრაცია მოხდება როგორც წინასწარ, აგრეთვე შესაძლებელია ადგილზე.
- ლიცენზიის მიღების საფასურია 50 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო გადარიცხვით).
- ერთ მრბოლელს შეუძლია გამოვიდეს სხვადასხვა კატეგორიაში, თუ ჰყავს შესაბამისი ტექნიკა. ყოველ დამატებით კატეგორიაზე იხდის ლიცენზირების საფასურს ხელახლა.
- მსაჯებს უფლება აქვთ დისკვალიფიკაცია მისცენ იმ მონაწილეებს, რომლებიც არ ემორჩილებიან წყვილთა რბოლის წესებს.
- თითოეულ კლასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა შეზღუდულია და შეადგენს მაქსიმუმ 16 მრბოლელს.
- ერთი და იგივე გამოყენებული ტრანსპორტიანი მრბოლელების თანხვედრის შემთხვევაში, შემდეგ ტურში გადავა ერთერთი მრბოლელი, აგრეთვე დაუშვებელია მოტოციკლის/სკუტერის ჩანაცვლება დაზიანების შემთხვევაში

დაჯილდოება:

დაჯილდოება მოხდება ღონისძიების დასრულების შემდეგ. თითოეულ კლასში პირველი სამი ადგილის მფლობელ მრბოლელებს გადაეცემათ მედლები და სიგელები.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge